აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს X სხდომა

სხდომის ოქმი N10

თბილისი, 31 მარტი, 2023

აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს (შემდგომში - საბჭო) სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები:

1. **მაია ლევანიძე** - სსიპ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის უფროსი, **საბჭოს თავმჯდომარე;**
2. **თინათინ ნაჭყებია** - GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი, ინტერნიუსი -ს პროექტის „ხარისხიანი ჟურნალისტიკის მხარდადჭერა სამეზობლოში“ დირექტორი, **საბჭოს მდივანი;**
3. **ქეთევან კვირიკაძე** - მედიახელოვნების დოქტორი, სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ხატვისა და ფერწერის პედაგოგი;
4. **გიორგი გოგიბერიძე** - სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, კინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის რეჟისორი და გადაცემის "თეთრი კვადრატის" ავტორი და წამყვანი, საქართველოს კინოაკადემიის წევრი, საავტორო კინოს ბათუმის საერთაშორისო ფესტივალის დირექტორი და ფილმების სელექციონერი;

5. **ალექსანდრე ვახტანგოვი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი; სადოქტორო, სამაგისტრო, საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი; საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელევიზიის TAFU TV - ის დამაარსებელი, ხელმძღვანელი; ფულბრაიტის პროგრამის მონაწილე;
6. **თინათინ ჭაბუკიანი** - ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სსიპ-საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ტელერეჟისორი, ტაფუ TV -ის გენერალური პროდიუსერი;
7. **ელენე ასათიანი** - GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი, აუდიო-ვიზუალური პროგრამის თანახელმძღვანელი.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი:

სოფიკო გაფრინდაშვილი - კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი;

საბჭოს სხდომა დაიწყო 11:00 საათზე და მიმდინარეობდა დისტანციურად, პლატფორმა ZOOM-ის გამოყენებით.

კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის მთავარი სპეციალისტი სოფიკო გაფრინდაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომას ესწრებოდა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი, შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილი იყო, დაეწყო შეხვედრა. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2019 წლის 11 ივნისის N476/ი 3 ბრძანების, უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის შემუშავების, განახლებისა და დამტკიცების, დარგობრივი საბჭოების, დარგობრივი სამუშაო ჯგუფების შექმნისა და საქმიანობის წესის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის

შესაბამისად, საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მასში ესწრება/ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობას იღებს საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

მოისმინეს:

- სოფიკო გაფრინდაშვილის განცხადება - გამომდინარე იქიდან, რომ სხდომას არ ესწრებოდა საბჭოს თავმჯდომარე მამუკა ჯორბენაძე, საბჭოს წევრებს უნდა აერჩიათ სხვა პირი, ვინც მოცემულ სხდომაზე იქნებოდა თავმჯდომარე.

დაადგინეს:

- საბჭოს წევრებმა საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს მაია ლევანიძე.

სოფიკო გაფრინდაშვილმა საბჭოს წევრებს განუმარტა, რომ მოცემული სხდომა დაინიშნა მაია ლევანიძის ინიცირების საფუძველზე. კერძოდ, მაია ლევანიძემ მიმართა ცენტრს, რომ კონკრეტული საკითხის განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად მოეწვია აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭო.

მაია ლევანიძის მიერ წარმოდგენილი საკითხი ეხებოდა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგი დეტალური სფეროს „0211.1.3 რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV)“ სახელწოდების ცვლილებას.

სოფიკო გაფრინდაშვილმა სთხოვა საბჭოს თავმჯდომარეს, მაია ლევანიძეს წარედგინა დღის წესრიგი და დეტალურად ესაუბრა მის ინიციატივაზე.

საბჭოს თავმჯდომარემ, მაია ლევანიძემ წარადგინა დღის წესრიგი:

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგი დეტალური სფეროს „0211.1.3 რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV)“ სახელწოდების ცვლილების საჭიროების განხილვა და შემდეგი სახით ჩამოყალიბება - 0211.1.3 აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Audiovisual Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV)“ - საბჭოს წევრების პოზიციების მოსმენა მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

დაადგინეს:

საბჭოს ყველა წევრი დაეთანხმა მაია ლევანიძის მიერ წარმოდგენილ დღის წესრიგს.

მოისმინეს:

მაია ლევანიძემ წარადგინა მისი ინიციატივა საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგი დეტალური სფეროს „0211.1.3 რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV)“ სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, სწავლის სფერო 0211.1.3 რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური

ფილმი, ხმის, ტელე) Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV) მოითხოვს დარგობრივ დაზუსტებას, ვინიდან ფრჩხილებში გამოტანილი (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) - არ აისახება კვალიფიკაციის სახელწოდებაში და ასრულებს მხოლოდ განმარტებით ფუნქცია. ასეთი ფორმულირება გაურკვეველს ხდის, რომელი სფეროსთვის ამზადებს პროგრამა/უნივერსიტეტი რეჟისორებს.

“ვფიქრობ, პრობლემის მოსაგვარებლად ტერმინი უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: აუდიოვიზუალური რეჟისურა, როგორც მაგალითად ეს არის სათეატრო ხელოვნების მიმრთულებით, სადაც კვალიფიკაცია ფორმულირებულია შემდეგი სახით 0215.1.2 თეატრის რეჟისურა (დრამის, მუსიკალური თეატრის, პანტომიმის თეატრის, თოჯინების თეატრის) Directing (drama, musical theatre, pantomime, puppetry)”.

მაია ლევანიძის თქმით ეს იქნება მნიშვენლოვანი ცვლილება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის, რადგან ამ ეტაპზე, როდესაც ენიჭება მხოლოდ რეჟისორის კვალიფიკაცია, ეს არ იძლევა საშუალებას გამოჩნდეს რისი რეჟისორია - “მაგალითად, რეჟისორი შეიძლება იყოს დრამის მიმართულებითაც და გაურკვეველი ხდება აქვს მას უფლება იმუშაოს ამ მიმართულებით? რა თქმა უნდა, არა. აქედან გამომდინარე, აუცილებელია, რომ იყოს დარგობრივი დაზუსტება, რომელ სფეროში მოღვაწეობს ეს ადამიანი, სად ვითარდება, დასაქმების რა პერსპექტივები აქვს. მოცემული ცვლილება კი მოგვცემს საშუალებას კურსდამთავრებულებს მივანიჭოთ აუდივიზუალური რეჟისურის ბაკალავრი/მაგისტრი, რაც ვიწრო სპეციალობასთან იქნება დაკავშირებული და აღარ გააჩენს შეკითხვებს. გამომდინარე იქიდან, რომ მოცემულ სწავლის სფეროში ასევე შედის ხმის რეჟისურაც, აუდიოვიზუალური რეჟისურა დააზუსტებს ამ საკითხსაც, რომ რეჟისურა მხოლოდ კინო ან ტელე რეჟისურის მიმართულება არ არის“.

სოფიკო გაფრინდაშვილმა მიმართა მაია ლევანიძეს, დაეზუსტებინა, მოცემული ცვლილება ხომ არ შეეხებოდა სფეროს შინაარსსაც, რაზეც მაია ლევანიძემ უპასუხა რომ არა. მაია ლევანიძემ დააზუსტა, რომ მოცემული ცვლილება იყო მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური უზუსტუბის გასწორება სფეროს სახელწოდებაში და არანაირად არ შედიოდა სფეროს შინაარსში.

სოფიკო გაფრინდაშვილმა მიმართა საბჭოს წევრებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი მაია ლევანიძის მიერ დასმულ საკითხთან დაკავშირებით.

თინათინ ჭაბუკიანმა განაცხადა, რომ იზიარებდა მაია ლევანიძის პოზიციას. მოცემული ცვლილების საფუძველზე, კვალფიკაციაში დარგი უფრო ნათლად გამოჩნდებოდა და აღარ იქნებოდა დამაბნეველი არც დაწესებულებისთვის და არც კურსდამთავრებულისთვის. მისი თქმით უკვე არსებობს პრაქტიკა სათეატრო მიმართულებით, სადაც არსებობს სწავლის სფერო “0215.1.2 თეატრის რეჟისურა”, რაც კარგი მაგალითია.

ალექსანდრე ვახტანგოვმა გამოთქვა თავისი აზრი და დააფიქსირა, რომ სწავლის სფეროს გაანხლებული სახელწოდება იქნებოდა გარკვეულწილად დარგობრივი მინიშნება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მან განაცხადა, რომ თავიდან ბოლომდე იზიარებდა მაია ლევანიძის პოზიციას.

ელენე ასათიანმა კითხვით მიმართა საბჭოს წევრებს - რადგან კლასიფიკატორში ასევე არსებობს სწავლის სფერო აუდიოვიზუალური ხელოვნება, ახლა კი თუ რეჟისურაც დაკონკრეტდებოდა და გაჩნდებოდა აუდიოვიზუალური რეჟისურა, ხომ არ გადაკვეთდა ეს ორი სფერო შინაარსობრივად ერთმანეთს?

ალექსანდრე ვახტანგოვმა უპასუხა, რომ ისინი ერთმანეთთან არ იკვეთებოდა და პირიქით, აუცილებელი იყო მსგავსი დაზუსტება, რომ კურსდამთავრებულს ჰქონოდა აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრი/მაგისტრის ხარისხი.

მაია ლევანიძემაც უპასუხა ელენე ასათიანს, რომ არანაირიად არ იკვეთებოდა ეს ორი სწავლის სფერო, რადგან ორივე მათგანს ჰქონდა სხვადასხვა შინაარსი. “აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს ქვეშ ძალიან ბევრი სფერო მოიაზრება და ერთი მხრივ, ვრცელი შესაძლებლობებია, მაგრამ მეორე მხრივ, როდესაც ადამიანი იღებს დიპლომს არის ზოგადი და დაუზუსტებელი. ევროპული ქვეყნების მაგალითზეც კი, აუდიოვიზუალური რეჟისურის მიმართულებით, თითქმის ყველგან არის ეს კონკრეტიკა, რა მიმართულებითაა რეჟისორი კურსდამთავრებული. ამ ეტაპზე, რა მიმართულებით არიან რეჟისორები, კურსდამთავრებულებს ასახული აქვთ დანართში, მოცემული ცვლილების შემდგომ კი პირდაპირ აისახება დიპლომში, რომ არიან აუდიოვიზუალური რეჟისურის ბაკალავრები ან მაგისტრები. ასევე, ეს კარგი იქნება დამსაქმებლისთვისაც. ისთვის უფრო ნათელი იქნება ვინ მიდის მასთან, დანართის წარმოდგენის გარეშეც. აუდიოვიზუალური ხელოვნება და აუდიოვიზუალური რეჟისურა, ორი სწავლის სფერო რომელიც იქნება კლასიფიკატორში არააირად არ იკვეთება ერთმანეთთან და ცალ-ცალკე გამოყენების შესაძლებლობებს იძლევა.

ელენე ასათიანმა დააფიქსირა, რომ პასუხი მისაღები იყო და ეთანხმებოდა მაია ლევანიძის ინიციატივას.

თინათინ ნაჭყებიამ გააკეთა კომენტარი, რომ თანახმა იყო აღნიშნული ცვლილება შესულიყო კლასიფიკატორში.

გიორგი გოგიბერიძემ განაცხადა, რომ მოხარული იქნება ამგავრი ცვლილების განხორციელების და ასევე, გააჟღერა მამუკა ჯორბენაძის პოზიციაც, რომელმაც ვერ მოახერხა სხდომაზე დასწრება, ისიც სრულად ეთანხმებოდა მაია ლევანიძის ინიციატივას.

ქეთევან კვირიკაძემ დააფიქსირა თავისი პოზიცია, რომ სრულად უჭერდა მხარს მოცემულ ცვლილებას.

დაადგინეს:

სხდომაზე დამსწრე საბჭოს ყველა წევრმა მხარი დაუჭირა მაია ლევანიძის ინიციატივას საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგი დეტალური სფეროს „0211.1.3 რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV)“ სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით.

საბჭოს გადაწყვეტილებით, „0211.1.3 რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV)“ ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 0211.1.3. აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Audiovisual Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV).

დაადგინეს:

საბჭომ აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის I შესავლის თავში დაამატა შემდეგი ინფორმაცია:

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი განსხვავდება 12.08.2022 წელს დამტკიცებული მახასიათებლისგან. დოკუმენტის განახლებას საფუძვლად დაედო აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს გადაწყვეტილება (31.03.2023) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგი დეტალური სფეროს „0211.1.3

რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV)“ სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით. საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს დეტალური სფეროს სახელწოდება „0211.1.3 რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 0211.1.3. აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Audiovisual Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV), საბჭო მიიჩნევს, რომ ტერმინი მოითხოვს დარგობრივ დაზუსტებას, ვინაიდან ფრჩხილებში გამოტანილი მიმართულებები (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) - არ აისახება კურსდამთავრებულისათვის მინიჭებული კვალიფიკაციის სახელწოდებაში და ასრულებს მხოლოდ განმარტებით ფუნქციას. ამგვარი ფორმულირება გაურკვეველს ხდის, რომელი სფეროსთვის ამზადებს პროგრამა/უნივერსიტეტი რეჟისორებს.

დაადგინეს:

აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელში ნახსენები სწავლის სფერო “რეჟისურა” ყველგან შეიცვალოს ტერმინით “აუდიოვიზუალური რეჟისურა”.

დაადგინეს:

აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის დოკუმენტი, მე-10 სხდომის შედაგად, ჩამოყალიბდეს დანართი N1-ის შესაბამისად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 12:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე:

მაია ლევანიძე

საბჭოს მდივანი:

თინათინ ნაჭყებია

დანართი N1

,,აუდიოვიზუალური ხელოვნების“ (,,აუდიოვიზუალური ხელოვნება“, ,,კინო-ტელეხელოვნება“ და ,, აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე)“) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი

უმაღლესი განათლების I და II საფეხურები

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს VI და VII დონეები

2023 წელი

I. შესავალი

„აუდიოვიზუალური ხელოვნების“ („აუდიოვიზუალური ხელოვნება“, „კინოტელეხელოვნება“ და „აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე)“) (შემდგომში - აუდიოვიზუალური ხელოვნება) უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებელი წარმოადგენს აკადემიური განათლების სტანდარტს, რომელიც ეფუძნება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, უმაღლესი განათლების ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოს, შრომის ბაზრის მოთხოვნებს, ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მოქმედ სტანდარტებს, საუკეთესო პრაქტიკასა და საკანონმდებლო მოთხოვნებს; დოკუმენტში ასახულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 და მე-7 დონის შესაბამისი სწავლის შედეგების მინიმალური მოთხოვნები და მათ მისაღწევად საჭირო სწავლა-სწავლების და შეფასების მეთოდები და სხვა არსებითი მახასიათებლები.

მოცემული დარგობრივი მახასიათებელი ფარავს შემდეგი სწავლის სფეროებს: აუდიოვიზუალური ხელოვნება, კინო-ტელე ხელოვნება, აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური ფილმი, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე).

აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის მიზანია, ხელი შეუწყოს შემდეგი სწავლის სფეროების: აუდიოვიზუალური ხელოვნების, კინო-ტელე ხელოვნების, აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) შესაბამისი (I საფეხური) საბაკალავრო და (II საფეხური) სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას; სტუდენტთა მობილობას; მინიჭებული

კვალიფიკაციის საერთაშორისო დონეზე აღიარებას; აუდიოვიზუალური ხელოვნების პროფესიაში შესვლასა და დასაქმებას.

აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგობრივი მახასიათებელი განსაზღვრავს იმ ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის მინიმალურ სავალდებულო სტანდარტს, რომლებსაც სტუდენტი აუდიოვიზუალური ხელოვნების, კინო-ტელე ხელოვნების და აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულებისას შეიძენს.

აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგობრივი მახასიათებლის დასახელება ინგლისურად არის - The Subject Benchmark Statement of „Audiovisual Arts“ („Audiovisual Arts“, „Film-TV Arts“ and „Audiovisual Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV)”).

დარგობრივი მახასიათებლის მოქმედების ვადა 7 წელია.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებლის გაცნობა რეკომენდებულია:

- აუდიოვიზუალური ხელოვნების, კინო-ტელე ხელოვნების, აუდიოვიზუალური რეჟისურის (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულების ფარგლებში, სასწავლო კურსების შემუშავება/განვითარება/სრულყოფასა და სწავლების პროცესში ჩართულ პირთათვის;
- აბიტურიენტებისათვის, რომელთაც სურთ დაეუფლონ იმ დარგს, რომელსაც აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგობრივი მახასიათებელი მოიცავს;
- სტუდენტებისათვის, რომელთაც აინტერესებთ რა ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს შეიძენენ აუდიოვიზუალური ხელოვნების

საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების შემდეგ;

- დამსაქმებლისა და სხვა სამიზნე ჯგუფებისათვის, რომლებსაც სურთ მიიღონ ინფორმაცია თუ რა ცოდნას, უნარ-ჩვევებსა და კომპეტენციებს ფლობს აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებული;
- განათლების სფეროს ექსპერტებისათვის, რომლებსაც პერიოდულად ევალებათ დარგობრივი მახასიათებლებით დაფარული სწავლის სფეროების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და მონიტორინგი.

წინამდებარე დარგობრივი მახასიათებელი განსხვავდება 12.08.2022 წელს დამტკიცებული მახასიათებლისგან. დოკუმენტის განახლებას საფუძვლად დაედო აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი განათლების დარგობრივი საბჭოს გადაწყვეტილება (31.03.2023) საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შემდეგი დეტალური სფეროს „0211.1.3 რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV)“ სახელწოდების ცვლილებასთან დაკავშირებით. საბჭო მიზანშეწონილად მიიჩნევს დეტალური სფეროს სახელწოდება „0211.1.3 რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV) შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით: 0211.1.3. აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) Audiovisual Directing (fictional film, documentary film, video clip, animated film, sound, TV), საბჭო მიიჩნევს, რომ ტერმინი მოითხოვს დარგობრივ დაზუსტებას, ვინაიდან ფრჩხილებში გამოტანილი

მიმართულებები (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) - არ აისახება კურსდამთავრებულისათვის მინიჭებული კვალიფიკაციის სახელწოდებაში და ასრულებს მხოლოდ განმარტებით ფუნქციას. ამგვარი ფორმულირება გაურკვეველს ხდის, რომელი სფეროსთვის ამზადებს პროგრამა/უნივერსიტეტი რეჟისორებს.

II. სწავლის სფეროს აღწერა

აუდიოვიზუალურ მედიახელოვნებას მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიო კულტურაში. ის საავტორო კონცეფციიდან გამომდინარე, ხმოვან-ვიზუალური სტრუქტურით, ქმნის სამყაროს მიკრომოდელებს, სახე-ხატებს, სიმულაციურ რეალობას და ა.შ. აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგებია: კინო, ტელევიზია, მულტიმედიური ხელოვნება. მათი ენობრივი სტრუქტურის განვითარებაზე აქტიურ გავლენას ახდენს ტექნიკური პროგრესი, აქედან გამომდინარე თითოეულ მათგანს გააჩნია როგორც საერთო, ისე განსხვავებული სპეციფიკური ენობრივი ნიშნები და მახასიათებლები. აუდიოვიზუალურ ხელოვნებაში შემავალი დარგების ურთიერთქმედების პროცესში ხდება თითოეული სახეობის ფორმირება, ენობრივი სტრუქტურის განვითარება.

აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამები ორიენტირებულია დარგის პროფესიონალი კადრების მომზადებაზე. აუდიოვიზუალური ხელოვნება - აუდიოვიზუალური ხელოვნება, კინო-ტელე ხელოვნება, აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე) - არის სწავლებისა და საქმიანობის ის სფერო, რომელიც ეფუძნება მხატვრულ შემოქმედებასა და ტექნიკურ პროგრესს, სწორედ ამიტომ, სწავლის სფეროში მნიშვნელოვანია თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტთა არსებობა და მათი დაბალანსება, აუდიოვიზუალური ხელოვნების

თითოეული სახეობისთვის/სპეციალობისთვის დამახასიათებელი სპეციფიკის, მეთოდების, მიღწევების შესწავლა და კვლევა.

საბაკალავრო/სამაგისტრო პროგრამა აუდიოვიზუალური ხელოვნების სპეციფიკიდან გამომდინარე განაპირობებს სწავლების სფეროების ინტერდისციპლინარულ ხასიათს, მომიჯნავე დარგებთან (ლიტერატურა, მუსიკა, მედია, სახვითი ხელოვნება და ა.შ) მჭიდრო კავშირს.

საბაკალავრო საფეხური ქმნის წინაპირობას ამავე სფეროს მეორე, სამაგისტრო საფეხურისთვის, რომელშიც ხდება სწავლისა და კვლევის გაღრმავება, შემოქმედებითი ინტერესების გაფართოვება, შესაბამისი სახელოვნებო-სამეცნიერო-თეორიული კომპეტენციების ათვისება.

ორივე საფეხურის პროგრამის მთავარი ამოცანაა სტუდენტს უშუალო პრაქტიკული სწავლების პარალელურად გააცნოს აუდიოვიზუალური ხელოვნების ძირითადი თანამედროვე, უახლესი კონცეფციები, თეორიები და მეთოდები.

აუდიოვიზუალური ხელოვნების უმაღლესი სახელოვნებო განათლების მიღების მსურველთათვის პრიორიტეტულია შემოქმედებითი უნარები. პროგრამები ორიენტირებულია როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოეთის სივრცისთვის კონკურენტუნარიანი პროფესიონალის აღზრდაზე.

III. სწავლის შედეგები

აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიმართულია იმ ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შეძენა/განვითარებისკენ, რომლებიც კურსდამთავრებულს მოეთხოვება შესაბამის საფეხურზე (ბაკალავრიატი ან მაგისტრატურა) სწავლის დასრულებისას. თითოეულ საფეხურზე სწავლის შედეგები უნდა განსხვავდებოდეს სირთულის მიხედვით. აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგობრივ მახასიათებელში მოცემული სწავლის

შედეგები მოიაზრებს მინიმალურ მოთხოვნებს, რომლის დაცვაც ევალებათ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს აქვთ შესაძლებლობა კატეგორიებად ჩაშლის გარეშე ჩამოაყალიბონ სწავლის შედეგები; შეუძლიათ, საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და დარგის თანამედროვე მიღწევების/გამოცდილების გათვალისწინებით, საგანმანათლებლო პროგრამით სხვა შედეგებიც განსაზღვრონ. სწავლის შედეგები უნდა იყოს მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი (იგულისხმება მათი შეფასება).

3.1. ბაკალავრიატის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- დარგობრივი ტერმინოლოგიის გამოყენებით, განიხილავს აუდიოვიზუალური და მასთან მონათესავე ხელოვნების დარგების სპეციფიკურ ნიშნებსა და მახასიათებლებს, პროფესიის საფუძვლებს;
- აანალიზებს აუდიოვიზუალური ხელოვნების და მასთან მონათესავე დარგების ისტორიის განვითარების გზებსა და ძირითად ტენდენციებს, თეორიულ მოსაზრებებს.

უნარი

კურსდამთავრებული:

- გეგმავს და მართავს გადასაღებ სივრცეს; ზეპირი და წერილობითი ფორმით აყალიბებს და გადასცემს საკუთარ შემოქმედებით ჩანაფიქრს სამუშაო ჯგუფს

  (დრამატურგი, ოპერატორი, მხატვარი, მსახიობი და სხვა);
- ვიზუალური მასალის რიტმულ-მონტაჟური წყობით, ხმოვან-პოლიფონიური რიგით, კადრირებით, განათების, გადაღების სხვადასხვა სისტემებისა და მეთოდების გამოყენებით ქმნის მხატვრულ სახეებს;

- მიზანსცენით, კადრის კომპოზიციით, კამერის (კამერების) მოძრაობით, განათების სისტემებით აგებს აუდიოვიზუალური ხელოვნების პროდუქტის კონკრეტულ და ერთიან ვიზუალურ სტრუქტურებს;
- აუდიოვიზუალური პროდუქტის შექმნის პროცესში, საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში, დარგის/სახეობის სპეციფიკიდან გამომდინარე აყალიბებს საავტორო ხედვას/კონცეფციას და ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით წარუდგენს საზოგადოებას;
- იყენებს აუდიოვიზუალური ხელოვნების თანამედროვე ტექნოლოგიების თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას;
- პროგრამის პროფილის გათვალისწინებით, ქმნის კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტს/ნაშრომს, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- დამოუკიდებლად წარმართავს და აფასებს საკუთარი სწავლის პროცესს, განსაზღვრავს შემდგომი სწავლის საჭიროებებს;
- პროფესიული ეთიკის პრინციპების დაცვით, არაპროგნოზირებად გარემოში გეგმავს და ახორციელებს შემოქმედებით პროცესს.

3.2. მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად აუცილებელი სწავლის შედეგები

ცოდნა და გაცნობიერება

კურსდამთავრებული:

- დარგის ტერმინოლოგიის გამოყენებით, კრიტიკულად აანალიზებს და მიმოიხილავს აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროს მთავარ პრინციპებს,

თეორიებს და კონცეფციებს, მათ შორის საკუთარი სპეციალობის გამორჩეულ და/ან ახალ ასპექტებს;

- სიღრმისეულად აანალიზებს და აღწერს აუდიოვიზუალური ხელოვნების თანამედროვე/უახლეს მიღწევებს;
- განსაზღვრავს აუდიოვიზუალური ხელოვნების დარგის თეორიულ კანონზომიერებებს, ისტორიული განვითარების ძირითად ტენდენციებს/ნარატივებს;

უნარი

კურსდამთავრებული:

- უცნობ ან მულტიდისციპლინურ გარემოში მოიძიებს რთული პრობლემების გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს, ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიების გამოყენებით, დამოუკიდებლად ასრულებს შემოქმედებით-პრაქტიკულ პროექტს და სამეცნიერო-კვლევით სამუშაოს;
- კვლევაზე მუშაობის პროცესში, მოიძიებს აუდიოვიზუალურ ხელოვნებასთან დაკავშირებულ ისტორიულ-თეორიულ წყაროებს, დამოუკიდებლად აყალიბებს ახალ მიგნებებს, დასკვნებს და კვლევის შედეგებს არგუმენტირებულად წარადგენს როგორც აკადემიური, ასევე პროფესიული საზოგადოების წინაშე.

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

კურსდამთავრებული:

- აფასებს თანამედროვე სოციალურ და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას და საკუთარი შემოქმედების როლს ამ გარემოში;
- მართავს არაპროგნოზირებად ან მულტიდისციპლინურ სასწავლო ან/და სამუშაო გარემოს და გადასცემს ცოდნა-გამოცდილებას საგანმანათლებლო-აღმზრდელობით პროცესში;

- დამოუკიდებლად წარმართავს საკუთარი და სხვისი სწავლის, კვლევისა და შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის პროცესს.

IV. სწავლება, სწავლა და შეფასება

აუდიოვიზუალური ხელოვნების (აუდიოვიზუალური ხელოვნება, კინო-ტელე ხელოვნება, აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე)) საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებისა და სწავლის შედეგების მისაღწევად, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების უზრუნველსაყოფად, მნიშვნელოვანია შერჩეულ და გამოყენებულ იქნეს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისი სწავლების და სწავლის შეფასების მეთოდები. სტუდენტთა შეფასება უნდა იყოს მრავალკომპონენტიანი და უზრუნველყოფდეს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას, რაც მიიღწევა კონკრეტული და გაზომვადი კრიტერიუმების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები სტუდენტს ხელს უნდა უწყობდეს ახალი ინფორმაციის შეგროვებაში, დასკვნების დამოუკიდებლად გამოტანაში, პრაქტიკული უნარების ფორმირებაში, შემოქმედებითი უნარების განვითარებაში, კრიტიკულ აზროვნებასა და ცოდნის გაღრმავებაში. ამ პროცესში, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სტუდენტის მიერ საკუთარი ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობას. სტუდენტი აქტიურად უნდა მონაწილეობდეს სასწავლო პროცესში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მის მიერ სწავლის პროცესში მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. უსდ-ები მუდმივად უნდა ზრუნავდნენ სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების გადახედვა-განახლებაზე სწავლებისა და შეფასების საუკეთესო პრაქტიკის გამოყენებით. აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროსთან დაკავშირებული კომპეტენციების განვითარების მხრივ არსებული თანამედროვე მიღწევების გაზიარება/დანერგვით.

სწავლება-სწავლის პროცესში გამოყენებული აქტივობები ერთმანეთს ავსებს. პროგრამის განმახორციელებელი პირები შესაძლოა იყენებდნენ ქვემოთ ჩამოთვლილ ერთ/რამდენიმე ან ნებისმიერ სხვა აქტივობას, კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე. აუდიოვიზუალური ხელოვნების სფეროში სწავლების ფორმები ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების შემდეგი გავრცელებული მეთოდებით:

4.1 . სწავლება-სწავლის მეთოდები

1. ლექცია;
2. სემინარი;
3. პრაქტიკული მუშაობა (ინდივიდულური/ჯგუფური);
4. ელექტრონული სწავლება (ელექტრონული რესურსით სწავლება);
5. ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
6. წერითი/წიგნზე მუშაობის მეთოდი;
7. ლაბორატორიული მეთოდი და დემონსტრირების მეთოდი (ვიდეომასალების ჩვენება, დინამიკური ხასიათის მასალა და სხვ.);
8. პრაქტიკული მეთოდები (სასწავლო-სტუდიური/საველე და საწარმოო პრაქტიკა).

4.2 . სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები

1. დისკუსია/დებატები;
2. ჯგუფური (collaborative) მუშაობა;
3. პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL);
4. თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება;
5. ევრისტიკული მეთოდი;
6. შემთხვევის ანალიზი (Case study);
7. გონებრივი იერიში (Brain storming);
8. როლური და სიტუაციური თამაშები;
9. დემონსტრირების მეთოდი;
10. ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
11. ახსნა–განმარტებითი მეთოდი;
12. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება;
13. ელექტრონული სწავლება (E-learning);

მოცემული მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:

1. დასწრებული;
2. ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური);
3. დისტანციური.

4.3. შეფასების მეთოდები

- წერითი/ზეპირი გამოცდა;
- წერითი/ზეპირი გამოკითხვა;
- დამოუკიდებელი მუშაობა (საშინაო თეორიული და პრაქტიკული დავალება);
- ინდივიდუალური და/ან ჯგუფური პრეზენტაცია;
- და სხვა (კანონდებლობით დადგენელი და სწავლის შედეგების შესაბამისად უსდ-ს მიერ ავტონომიურად განსაზღვრული).

საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ კომპონენტში სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად, შესაძლოა, გამოყენებულ იქნეს შემდეგი საშუალებები:

- ტესტი;
- ესე;
- დემონსტრირება;
- პრეზენტაცია;
- სასემინარო მოხსენება;
- დისკუსიაში/დებატში მონაწილეობა;
- და სხვ.

შეფასების მეთოდები უნდა გაიზომოს შეფასების კრიტერიუმებით, ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რომლითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

მაგისტრატურის საფეხურზე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებულ კომპონენტში სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად, გამოყენებულ უნდა იქნეს შემოქმედებით/პრაქტიკულ პროდუქტთან დაკავშირებული თეორიული ნაშრომი.

4.4. სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარება

პრაქტიკული კომპონენტი აუცილებელია აუდიოვიზუალური ხელოვნების საბაკალავრო/ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის. ის უნდა იყოს დაგეგმილი და ორგანიზებული თანმიმდევრული სტრუქტურით, მჭიდროდ დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგებთან.

პრაქტიკული კომპონენტის კონკრეტული მოდელის, მისი შინაარსისა და ფორმის შერჩევა ხდება უსდ-ს მიერ არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნის, შინაარსისა და კონცეფციის საფუძველზე საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით, რაც საგანმანათლებლო პროგრამაში შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა ფორმით:

- თეორიულ/სასწავლო კურსებში გათვალისწინებული პრაქტიკული - მეცადინეობით ან სასემინარო საათებით;
- დამოუკიდებელი პრაქტიკული კურსით/კურსებით, აქტიური სასწავლო, პროფესიული/საველე პრაქტიკით;
- და სხვ.

V. დამატებითი ინფორმაცია

5.1. აკადემიური პერსონალი

აუდიოვიზუალური ხელოვნების (აუდიოვიზუალური ხელოვნება, კინო-ტელე ხელოვნება, აუდიოვიზუალური რეჟისურა (მხატვრული ფილმი, დოკუმენტური, კლიპი, ანიმაციური ფილმი, ხმის, ტელე)) საბაკალავრო/სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას შესაძლებელია, უზრუნველყოფდეს როგორც შესაბამისი რაოდენობისა და კვალიფიკაციის მქონე აკადემიური პერსონალი, ასევე, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული სპეციალისტები.

5.2. მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში აუცილებელია გათვალისწინებული იყოს შესაბამისი ტექნიკით/ტექნოლოგიებით აღჭურვილი სტუდიები, რომლებიც თავისი შინაარსით განსხვავებულია ჩვეულებრივი აუდიტორიისაგან და ქმნის სპეციფიკურ, ეფექტიან გარემოს შემოქმედებითი მუშაობისთვის. უსდ–ში უნდა არსებობდეს: სალექციო აუდიტორიები, აუდიო-ვიდეო პროდუქციის საპრეზენტაციო სივრცე (მაგ. კინო/საკონფერენციო დარბაზი), დარგის სწავლებისთვის აუცილებელი სპეციალური აპარატურით აღჭურვილი სახელოსნოები/სტუდიები, კომპიუტერული კლასი, უახლესი ლიტერატურით, მათ შორის - უცხოენოვანი პერიოდული გამოცემებით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

უსდ-ს აქვს უფლება თავად განსაზღვროს პრაქტიკის კონკრეტული ფორმა და მისი განხორციელების ადგილი არსებული რესურსების, ინფრასტრუქტურის, საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის, ხედვისა და კონცეფციის გათვალისწინებით.

VI. დარგობრივი მახასიათებლის შემმუშავებელი ჯგუფის წევრები

№	სახელი, გვარი	ორგანიზაცია/დაწესებულება	თანამდებობა
1	მამუკა ჯორბენაძე	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორი, სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის სახვითი სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე.
2	თინათინ ნაჭყებია	GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი, ინტერნიუსი - ს პროექტის „ხარისხიანი ჟურნალისტიკის მხარდადჭერა სამეზობლოში“ დირექტორი, საბჭოს მდივანი;
3	მაია ლევანიძე	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის ასოცირებული პროფესორი, კინო-ტელე

			ფაკულტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
4	ლელა წიფურია	სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი
5	მანანა სურაძე	სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი	სსიპ სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი კინოხელოვნების პოპულარიზაციის დეპარტამენტის უფროსი
6	გიორგი გოგიბერიძე	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი	სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ინო-ტელე ხელოვნების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის რეჟისორი და გადაცემის "თეთრი კვადრატის" ავტორი და წამყვანი, საქართველოს კინოაკადემიის წევრი, საავტორო კინოს ბათუმის

			საერთაშორისო ფესტივალის დირექტორი და ფილმების სელექციონერი
7	ელენე ასათიანი	GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი	GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ასისტენტ პროფესორი, აუდიო-ვიზუალური პროგრამის თანახელმძღვანელი.
8	ქეთევან მაჭავარიანი	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტი	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტის კინო-ტელე ფაკულტეტის მოწვეული ლექტორი
9	ქეთევან კვირიკაძე	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	მედიახელოვნების დოქტორი,სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის მედიახელოვნების ფაკულტეტის მოწვეული პედაგოგი, საერთაშორისო პროექტების მართვის სპეციალისტი, ერასმუს+ კოორდინატორი
10	გიორგი ებრალიძე	სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებელი	საქართველოს ტელევიზიის პირველი არხი, სტუდია „ეპოქა" რეჟისორი

11	თინათინ ჭაბუკიანი	სსიპ-საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო ტელევიზია - TAFU TV	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სსიპ-საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი,ტელერეჟი სორი, ტაფუ TV -ის გენერელური პროდიუსერი
12	ზურაბ ხომერიკი	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია	სსიპ თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის ასისტენტ პროფესორი. სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"- UI, UX დიზაინერი.
13	ალექსანდრე ვახტანგოვი	სსიპ - საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერისიტეტი	ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, სრული პროფესორი; სადოქტორო, სამაგისტრო, საბაკალავრო პროგრამების ხელმძღვანელი; საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ტელევიზიის TAFU TV - ის დამაარსებელი, ხელმძღვანელი; ფულბრაიტის პროგრამის მონაწილე.